19/01/2021

კორონავირუსმა მოგვიკლა პატრიარქი” – სერბეთის საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე

Image not found or type unknown

სათაური: “კორონავირუსმა მოგვიკლა პატრიარქი” – სერბეთის საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე

“სერბეთის ეკლესიამ სათანადოდ ვერ შეაფასა კორონავირუსის საშიშროება და შეცდომა დაუშვა ამ მხრივ”, – განაცხადა სრულიად სერბეთის საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, დაბრო-ბოსნიის მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა.

სერბეთის პატრიარქი ირინეოსი უფალში განისვენებს ვირუსის გამო, აგრეთვე მონტენეგროს ნეტარხსენებული მიტროპოლიტი ამფილოქე ამ ვირუსმა იმსხვერპლა, ასევე სერბეთის ეკლესიის კიდევ ერთი მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი მილუტინი გარდაიცვალა კორონავირუსით. დაინფიცირდა არაერთი სერბი მართლმადიდებელი სასულიერო პირი.

”უნდა ვაღიაროთ, შეცდომები იყო, რომ ჩვენ ვერ შევაფასეთ სათანადოდ კორონავირუსის მავნებლობა და ვერ მივხვდით რა მოაქვს მას, რომ ეს არის მკვლელი ვირუსი, რომელმაც მოკლა ჩვენი პატრიარქი ირინეოსი, მონტენეგროს მიტროპოლიტი ამფილოქე, ეპისკოპოსი მილუტინი, ათობით მღვდელი, ბერი და მონაზონი. რაც მოხდა, შეიძლება იყოს ჩვენი ეპიდემიოლოგიური სამსახურების მიერ დადგენილი ზომების შეუსრულებლობის ფასი”, – განაცხადა მოსაყდრე მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა.

,,მე პირადად ინფიცირებული ვიყავი კოვიდ -19-ით და კარგად მომეხსენება რა საშინელი და ვერაგი ვირუსია იგი” – აღნიშნა მოსაყდრემ.

სერბეთის პატრიარქი ირინეოსი გასულ წელს კორონავირუსული ინფექციით გარდაიცვალა. წმიდა სინოდმა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრედ ხმათა უმრავლესობით აირჩია მიტროპოლიტი დაბრო-ბოსნიისა ქრიზოსტომოსი. ბელგრადში საპატრიარქო არჩევნები მიმდინარე წლის 18 თებერვალს გაიმართება.

wenews.ge